ხელშეკრულება
შესყიდვის შესახებ №13

ქ. სამტრედია 25 მარტი 2014 წელი.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ კავშირი საფეხბურთო კლუბი „სამტრედია" (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის პაატა მიქელთაძეს სახით და მეორეს მხრივ, **შპ „კომპაუდი"** (შემდეგში შემსრულებლად წოდებული) მისი **მინდობილი პირი ნუგზარ ხიჯაკაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1. ა(ა)იპ „კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია" 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგების აუდიტი და სალიცენზიო დოკუმენტაციათა მომზადება, რაც მოიცავ შემდეგს:

ა) დამკვეთის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ISA 700) დ საგადასახადო აუდიტი;

ბ) დამკვეთის ტრანსფერების შედეგად საფეხბურთო კლუბების მიმართ წარმოქმნილ ვადაგადაცილებული ვალდებულებების არქონის დასადასტურებლად შეთანხმებულ პროცედურები (ISRS 4400);

გ) თანამშრომელთა მიმართ დამკვეთის ვადაგადაცილებული ვალდებულებები არქონის დასადასტურებლად შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400)

დ) საგადასახადო ორგანოების მიმართ დამკვეთის ვადაგადაცილებულ ვალდებულებების არქონის დასადასტურებლად შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400

ე) დამკვეთის მოსალოდნელი (დაგეგმილი) ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირები შეთანხმებული პროცედურები (ISRS 4400);

2. შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაო ასევე მოიცავს საფაქრთველო ფეხბურთის ფედერაციისა და UEFA-ს მოთხოვნების შესაბამისად საკლუბ ლიცენზირებისთვის საჭირო ფინანსური დოკუმენტაციის (ცხრილების) მომზადებას მიუხედავად იმისა, აღნიშნული გათვალისწინებული არის თუ არა ხელშეკრულების 1 მუხლში.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტია- აუდიტორული მომსახურება (CPVკოდი 7920000 ღირებულება 4000 (ოთხიათასი)ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხ უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიუ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულები ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 10 აპრილამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. სამტრედია რაზმაძის ქ. #2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებული უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვ (საგადასახადო ანგარიშფაქტურა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეტაპობრივად.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი სამტრედია.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 10 აპრილამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ კავშირი საფეხბურთო კლუბი „სამტრედია“

მისამართი: ქ. სამტრედია რაზმაძის ქ. #2
სს ტაო პრივატ ბანკის იმერეთის
რეგი. ფილიალი
ბანკის კოდი: GAVOGE22
ანგ. №GE83TP0036080060015169,
ს/კ 238775704

დირექტორი: _____ პ. მიქელთაძე

„მიმწოდებელი“

შპს „კომპაუდი“
მისამართი: ქ.თბილისი,ბაქრაძის ქ.#6

ს/ს: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE 62 BG 000 000 0 192 631 800
ს/კ 202385169

დირექტორის მინდობილი პირი
ნ.ხიჯაკაძე